სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
კონკურსის წესით ლენტეხის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობლობა-რეაბილიტაციის საპროექტო -სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების CPV 71320000) სახელმწიფო შესყიდვის
საკონკურსო კომისიის სხდომის
ო ქ მ ი N1

ქ. თბილისი „5" სექტემბერი 2014 წ.

ილია დარჩიაშვილი - კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორის პირველი მოადგილე.
თორნიკე თორაძე - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე;
პაატა იაკობაშვილი - კომისიის წევრი, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის პროექტების შეფასების სამსახურის უფროსი;
ნუცა დათუაშვილი - კომისიის წევრი, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის პროგრამების კოორდინაციის სამსახურის უფროსი;
ირაკლი ფარესიშვილი -კომისიის მდივანი, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის შესყიდვების სამსახურის უფროსი;
გიორგი ბულეიშვილი - კომისიის აპარატის წევრი - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის შესყიდვების სამსახურის სპეციალისტი.
სხდომას არ ესწრებოდა: -კომისიის წევრი, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დასავლეთ საქართველოს პროექტების მონიტორინგის სამსახურის უფროსი - ბ-ნი ოთარ ჩიკვაიძე და კომისიის წევრი, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმოსავლეთ საქართველოს პროექტების მონიტორინგის სამსახურის უფროსი ბ-ნი თენგიზ ლაკირბაია.

დღის წესრიგი:
1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობლობა-რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების (CPV 71320000) სახელმწიფო შესყიდვის საშუალების განხილვა.
2. საკონკურსო განცხადების ტექსტისა და დოკუმენტაციის დამტკიცება.

მოისმინეს: სატენდერო კომისიის აპარატის წევრის - გიორგი ბულეიშვილის ინფორმაცია, სსიპ საქართველოს მუნიციპალური ფონდის 2014 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის თანახმად სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში გათვალისწინებულია ლენტეხის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობლობა-რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების (CPV 71320000) სახელმწიფო შესყიდვა, ხოლო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10^2 პუნქტის პირველი პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით, შემსყიდველი ორგანიზაციის გადაწყვეტილების საფუძველზე საპროექტო მომსახურების შესყიდვა შესაძლებელია განხორციელდეს კონკურსის საშუალებით.

დაადგინეს:
ლენტეხის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობლობა-რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების (CPV 71320000) სახელმწიფო შესყიდვა განხორციელდეს კონკურსის საშუალებით.

საკითხი II

მოისმინეს: სატენდერო კომისიის აპარატის წევრის გიორგი ბულეიშვილის ინფორმაცია - საკონკურსო განცხადების ტექსტისა და დოკუმენტაციის შესახებ, რომელმაც კომისიას წარუდგინა ლენტეხის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობლობა-რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების (CPV 71320000) - სახელმწიფო შესყიდვის საკონკურსო განცხადების ტექსტი და დოკუმენტაციის პროექტი.

განიხილეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობლობა-რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების (CPV 71320000) - სახელმწიფო შესყიდვის საკონკურსო განცხადების ტექსტისა და დოკუმენტაციის პროექტი.

დაადგინეს:
1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობლობა-რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების (CPV 71320000) -სახელმწიფო შესყიდვის მიზნით დამტკიცდეს საკონკურსო განცხადების ტექსტი და დოკუმენტაცია შემდეგი ჩამონათვალის მიხედვით:

ა) საკონკურსო განცხადება;
ბ) დანართი N1- ტექნიკური დავალება;
გ)დანართი N2 - აფიდავიტის ფორმა;
დ)დანართი N3 - საკონკურსო წინადადების ფასი;
ე)დანართი N4 - ინფორმაცია რეკვიზიტების შესახებ
ვ)სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი;

2. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს არაუგვიანეს 1 (ერთი) სამუშაო დღის განმავლობაში უზრუნველყოს საკონკურსო განცხადების ტექსტისა და დოკუმენტაციის გამოცხადების შესახებ ოფიციალური მოთხოვნის წარდგენა სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში.

კომისიის თავმჯდომარე	**/ ილია დარჩაშვილი /**
კომისიის თავმჯდომარის მოადგილე	**/ თორნიკე თორაძე /**
კომისიის წევრი	**/ პაატა იაკობაშვილი /**
კომისიის წევრი	**/ ნუცა დათუაშვილი /**
კომისიის მდივანი	**/ ირაკლი ფარესიშვილი /**